საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა
განათლების, კულტურისა და სპორტის
სამინისტრო

GEORGIA
AUTONOMOUS REPUBLIC OF AJARA
MINISTRY
OF EDUCATION, CULTURE AND SPORT

MES 9 22 0000506487

18/05/2022

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
მთავრობის აპარატის უფროსს ბატონ ჯაბა
სურმანიძეს

ბატონო ჯაბა,

2022 წლის 6 მაისს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატიდან N460955 კორესპონდენციით გადმოიგზავნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტის 2022 წლის 3 მაისის N0902-12-ფ/211 კორესპონდენციით მთავრობის აპარატში წარდგენილი ელექტრონული პეტიციის განაცხადი - აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ქალთა სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერება/მხარდაჭერის მიზნობრივი პროგრამის შემუშავება.
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო თავის კომპეტენციაში შემავალ სფეროებში ახორციელებს საბიუჯეტო პროგრამებს, რომლებზე ხელმისაწვდომობა თანაბრად უზრუნველყოფილია ორივე სქესის წარმომადგენელთათვის.
საბიუჯეტო პროგრამებით სარგებლობა ხშირ შემთხვევაში გარდა ბენეფიციართა შემოქმედებითი და ინტელექტუალური უნარების განვითარებისა, ირიბად მაინც დაკავშირებულია მათი სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებასთან.
არსებული გამოცდილების ანალიზი გვიჩვენებს, რომ პროგრამებში მონაწილეობის თვალსაზრისით ქალთა აქტივობის ხარისხი არის მაღალი.
განათლების მიმართულებით აღსანიშნავია შემდეგი საბიუჯეტო პროგრამები:
ა) პროგრამის ,,უმაღლესი განათლება“ ქვეპროგრამა ,,სტუდენტთა დახმარება'', რომელიც ხორციელდება 2012 წლიდან.
ქვეპროგრამის ფარგლებში 2021 წელს დაფინანსდა 1266 სტუდენტი, რომელთაგან 830 ქალი და 436 ვაჟია, ხოლო 2022 წელს (პირველ სემესტრში) დაფინანსდა 670 სტუდენტი, მათ შორის, 440 ქალი და 230 ვაჟი;
ბ) პროგრამის ,,უმაღლესი განათლება“ ქვეპროგრამას ,,სწავლა საზღვარგარეთ" სამინისტრო ახორციელებს 2014 წლიდან.

6015 ქ. ბათუმი, ლ. გუდიაშვილის ქ. №4
ტელ./ფაქსი: 0422 245370
www. moecs.ge

№4 L. Gudiashvili street, Batumi 6015
Tel./Fax: +995 (422) 245370
www. moecs.ge

2014 წლიდან დღემდე პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა 87 სტუდენტი, რომელთაგან 44 ქალი და 43 ვაჟია;

გ) პროგრამის ,,უმაღლესი განათლება“ ქვეპროგრამა ,,უცხოეთში სტაჟირება" ხორციელდება 2006 წლიდან. აღნიშნულ პერიოდიდან დღემდე უცხოეთში სტაჟირება გაიარა 128 ახალგაზრდამ, მათ შორის არის 97 ქალი და 31 ვაჟი.

კულტურის მიმართულებით ხორციელდება შემდეგი პროგრამები და ქვეპროგრამები:

ა) პროგრამა "კულტურის პოპულარიზაცია და შემოქმედებითი პროცესების მხარდაჭერა", რომელიც მოიცავს 2 ქვეპროგრამას:

ა.ა) პროექტების მხარდაჭერა, ფესტივალების და ღონისძიებების ორგანიზება - ითვალისწინებს ფესტივალების, კონცერტების, წარმოდგენების, გამოფენების, სახელოვნებო პროექტებისა და კულტურის სხვა ღონისძიებების ორგანიზებას/ორგანიზების ხელშეწყობას, ასევე კულტურის სფეროს წარმომადგენლებთან შეხვედრას;

ა.ბ) ახალი ინდივიდუალური შემოქმედებითი პროექტების ხელშეწყობა - ითვალისწინებს თავისუფალი ხელოვანების ახალი იდეების, ინიციატივების და პროექტების მხარდაჭერას; სახვითი, გამოყენებითი, მულტიმედიური ხელოვნების ხელშეწყობას;

ბ) პროგრამა "კულტურის სფეროს წარმომადგენელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა", რომელიც ითვალისწინებს ხელოვანთა საერთაშორისო ფესტივალებში, კონკურსებში, გამოფენებსა და სხვა ღონისძიებებში მონაწილეობის, სახელოვნებო განათლების, კულტურული და საგანმანათლებლო საქმიანობისა და აჭარაში კინოხელოვნების განვითარების ხელშეწყობას.

აღნიშნული პროგრამებითა და ქვეპროგრამებით 2021-2022 წლებში დაფინანსებული პროექტების ფარგლებში მონაწილეობდა საშუალოდ 1000-მდე ქალი, მათ შორის ორგანიზატორის, მონაწილისა და მოხალისის რანგში.

ამასთანავე, 2021 წელს განხორციელდა პროგრამა ,,არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და პოპულარიზაცია“, ხოლო 2022 წელს ხორციელდება პროგრამა ,,ფოლკლორის პოპულარიზაცია და ხელშეწყობა“, რომელთა ფარგლებში:

ა) 2021 წელს 114 ერთეული სასცენო სამოსი შესყიდულ იქნა 10 ანსამბლისთვის;

ბ) 2022 წელს 111 ერთეული სასცენო სამოსის შესყიდვა ხორციელდება 12 ანსამბლისთვის;

გ) 2021 წელს ტრადიციული რეწვის მიმართულებით განხორციელდა 11 ოსტატი ქალის წარმომჩენი და მათ მიერ დამზადებული პროდუქციის პოპულარიზაციის ხელშემწყობი 11 საიმიჯო ვიდეო რგოლის გადაღება.

მსგავსი აქტიურობით არიან ქალები ჩართულები ახალგაზრდობის პროექტებშიც.

ამასთანავე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო მიესალმება სხვა სფეროებში ინიცირებული, ქალთა როლის გაძლიერების მიზნით, მათ საჭიროებებზე ორიენტირებული პროექტების განხორციელებას.

პატივისცემით,

მაია ხაჯიშვილი
მინისტრი